## სამუშაო საათების განაწილების შესახებ

სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში (შემდეგში – ობსერვატორია) სრულ განაკვეთზე დასაქმებული თანამშრომლის სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება კვირაში ჯამურად 40 საათით, როგორც ეს დადგენილია ობსერვატორიის შინაგანაწესით.

დასაქმებულის კონკრეტული სამუშაო განრიგი, ასევე სამუშაო საათების განაწილება, განისაზღვრება მისი თანამდებობრივი უფლებამოსილებებისა და ფუნქციური მოვალეობების სპეციფიკიდან გამომდინარე.

სამუშაო გრაფიკი შეიძლება მოიცავდეს ობსერვატორიასა და დასაქმებულს შორის წინასწარ შეთანხმებულ შემდეგ კომპონენტებს:

1. **საოფისე საათები;**
2. **დაკვირვების საათები;**
3. **სერვისის საათები;**
4. **სხვა არანორმირებული სამუშაო საათები.**

საოფისე საათების პერიოდი განისაზღვრება დაწესებულების შინაგანაწესით.
ღამის დაკვირვებისა და ღამის სერვისის პერიოდების ხანგრძლივობა განისაზღვრება დაკვირვებითი პროგრამის სპეციფიკის, მზის ამოსვლისა და ჩასვლის დროის, სეზონურობის და მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით.
სხვა არანორმირებული სამუშაო საათების ხანგძრლივობა განისაზღვება ფუნქციური მოთხოვნების შესაბამისად.

**პუნქტი 1. საოფისე საათები**

1.2. დასაქმებული ვალდებულია უზრუნველყოს მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება სამუშაო საათების განმავლობაში.

**პუნქტი 2. დაკვირვების საათები**

2.1. ღამის ცის პირობებში ასტრონომიული დაკვირვებების უშუალოდ განხორციელების პერიოდები;
2.2. სამზეო ტელესკოპებით დაკვირვებების უშუალოდ განხორციელების პერიოდები.

**პუნქტი 3. სერვისის საათები**

3.1. ასტრონომიული დაკვირვებების ფუნქციური მხარდაჭერა (მათ შორის სამეცნიერო დაკვირვებითი პროგრამის მართვა,ზედამხედველობა, კომუნიკაცია და კოორდინაცია);
3.2. ასტრონომიული დაკვირვებების ტექნიკური და ინსტრუმენტული მხარდაჭერა.

**პუნქტი 4. სხვა არანორმირებული სამუშაო საათები**

4.1. განსაკუთრებულ ასტრონომიულ მოვლენებზე (მათ შორის უეცარ, საგანგებო ან დაუგეგმავ მოვლენებზე) დაკვირვებების ორგანიზება და განხორციელება;

4.2. ასტრონომიისა და ასტროფიზიკის პოპულარიზაციის მიზნით, ლექციების, პრეზენტაციების, სამეცნიერო-საგანმანათლებლო შეხვედრების ორგანიზება, მხარდაჭერა და მონაწილეობა - მათ შორის ღამის პერიოდში, მზის ჩასვლისა და ამოსვლის დროის ინტერვალებში;

4.3. სამეცნიერო ხელსაწყოების/ინსტრუმენეტბის/დანადგარების ტესტირება, ექსპერტიზა, ტექნიკური ან ადმინისტრაციული მხარდაჭერა, მათ შორის ღამის ცის პირობებში;

4.4. ობსერვატორიის სამეცნიერო მიზნებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებსა და ვიდეოკონფერენციებში მონაწილეობა დისტანციურ რეჟიმში, მათ შორის სხვა დროით სარტყელებში განსაზღვრულ საათებში;

4.5. ტექნიკური ექსპერიმენტების, მოწყობილობებისა ან მონაცემთა გადაცემის პროცესების სინქრონიზაცია საერთაშორისო პარტნიორებთან დღის ან ღამის შესაბამის მონაკვეთებში;

4.6. ობსერვატორიის სამეურნეო-ტექნიკური (არასამეცნიერო) ინფრასტრუქტურის ან სერვისების მხარდაჭერა, მათ შორის ღამის საათებში.